№ 31. 7 (19) აგვისტო 1870 7 (19) აგვისტო № 31.


გაზეთის ფასი

...ისში და გა-
...ადგილებში: გაგზავნით გაუგზავნელათ:

| | გაგზავნით | გაუგზავნელათ |
| --- | --- | --- |
| ...წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ...წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| ...თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| ...თვისა | — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ...ერთის ნომრისა | | — — — „ — 15 კ. |

...ქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება ...და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულე-...ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით ...ზე ½ კაპ.

...ება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.


# დროება


ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
ქუთაისში — ლ. ლოლუასთან — პოლიციის ქუჩაზე მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.
თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—


## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

# ხელის-მოწერა

ნახევარი წლის **„დროების“** მიღებაზე

შეიძლება თფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

ხელის მომწერს ეგზავნება გაზეთი ამ წლის 1 ივლისიდგან მომავალი წლის 1 იანვრამდინ.

...ასი გაგზავნით — — — ოთხი მანეთია.
— გაუგზავნელათ — — სამ მანეთ ნახევარი.
...ვისაც ჰსურს, თავიდანვე შეუძლია დაიბაროს მთელი ამ წლის ნომრები.

„დროების“ რედაქცია უმორჩილესად სთხოვს იმ ხელის-მომწერლებს, რო-...თაც არ შემოუტანიათ წლევანდელი წლის გაზეთის ფული, რაც შეიძლება, ...შემოიტანონ.

შინაარსი

...ის ამბები (საფრანგეთი და გერმანია—სამხ-...გერმანია—ჯარის დამარცხების გავლენა საფ-...ზე—ბრძოლა—პირველი შეტაკება—პატრიო-...მძრაობა სამხრეთის გერმანიაში—გერმანიის ...ამბები) საქართველო (ხოლერაზე—შკოლის ...რკინის გზის ხიდები—ქვის ნახშირის საქმე) ...თი (ამბები)—უცხო ქვეყნები: პრუსსიის ...ერება გერმანიაში (დასასრული)
...ლეტონი: რამდენიმე სურათი ჩვენის ...ცხოვრებიდგან (თ. რ. ერისთავისა).

# ომის ამბები

...ულებისამებრ, მეომარი მმართებლობა-...ერთმანერთს ედავებიან, არა შენი ბრა-...ომის ატეხა და არა შენიო. პრუსსიის ...ფრანგეთის მმართველებიც ამგვარათვე ცდილობენ წინაალმდეგს ბრალი დასდვან საზოგადოების თვალში და ომის ატეხა და ბევრი სხვა ავკაცობა აკიდონ კისერზე.—

ათას ნაირ გამტყუნებაში, ცილისწამებაში და დაბრალებაში, ყველაზე უფრო შესანიშნავი ისაა, რომელიც გამოსთქვა პრუსსიის უფროსმა მინისტრმა ბისმარკმა. მისი სიტყვით, საფრანგეთი დიდიხანია აგონებდა პრუსსიას, რომ, თუ ეს უკანასკნელი სახელმწიფო საფრანგეთს დაეხმარებოდა და ბელგიას შეაძენინებდა, საფრანგეთი სამაგიეროთ პრუსსიას სამხრეთის გერმანიას შეუერთებდა. როგორც ბისმარკი ამბობს, ამ მოლაპარაკებაში სხვათა შორის საფრანგეთს შვეიცარიაზედაც მიუქცევია ყურადღება.

რადგანც,—ავრძელებს ბისმარკი, ჩვენ (პრუსსია) ამ პირობაებზე არ დავთანხმდით, და საფრანგეთმა დაინახა, რომ პრუსსია იმას ადგილების შეძენაში ვერ დაეხმარებოდა, საფრანგეთის მმართებლობა ეხლა ძალის დატანებით ჩვენი დახმარების შეძენას აპირებსო.

ბისმარკს ხელში შერჩენია იმ პირობის შავი, რომელიც საფრანგეთის ელჩს, ბენედეტის, საკუთარის ხელით დაეწერა, და ბისმარკისთვის მიეცა. ამ პროექტს მართლაც ის აქვს საგნათ, რომ საფრანგეთმა და პრუსსიამ ერთმანერთში ევროპის წვრილმანი სახელმწიფოები გაიყონ, მაგალითად ბავარია, ბელგია, ლოლლანდია, შვეიცარია და სხვ.

როცა ერთმა ინგლისელმა გაზეთმა („Times“) ამ პირობის პირი დაბეჭდა, საფრანგეთის მმართებლობამ მაშინვე დააბეჭდინა ბენედეტის წიგნი, რომელშიაც ეს ელჩი აცხადებს, ვითომ პირობის შავი იმას თვითონ ბისმარკმა დააწერინა. პრუსსია, ამბობს ბენედეტი, ხშირათ პირდებოდა საფრანგეთს ბელგიის მიცემას, ოღონდ კი საფრანგეთს მაგიერათ პრუსსიისთვის სამხრეთის გერმანია დაენებებია, მაგრამ ნაპოლეონი როდი დათანხმდა ამ პირობაებზე.

როგორც გაზეთებში სწერია, ვინ იცის, ვინაა მართალი ამ საქმეში, და ვინ—ტყუანი. საქმე კი იმაშია, რომ ორივე მეომარ მხარეს სურს საზოგადოების თვალში წინაალმდეგი გააშაოს, და მთელი ევროპის მშვიდობიანობის დამრღვეველათ გამოიყვანოს.

რადგანც სამოცდა ექვსი პრუსსია როგორც ავსტრიას, ეგრეთვე ბავარიას, ვირტემბერგს და სხვა სამხრეთელ სახელმწიფოებს ცემა და დაამარცხა, საფრანგეთს იმედი ჰქონდა, რომ სამხრეთელი გერმანია პრუსსიას წინაალმდეგათ აუტყდებოდა. მაგრამ, რაკი გერმანიას „სხვა ქვეყნის კაცი“ თავზე ეცემა, სამხრეთი გერმანიელებიც დიდი აღტაცებით ადგენ „გერმანიის პატივს და თავისუფლების დასაცველათ.“

როცა ბავარიის და ვირტემბერგის ხელმწიფეებმა საფრანგეთს ომი გამოუცხადეს და პრუსსიას თავიანთი ჯარი დაახმარეს, იქაური ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ სასახლეებთან მივიდა და ხელმწიფეებს ომის გამოცხადებისთვის აღტაცებული მადლობა შესწირა.

ამას გარდა, სამოცდა ექვსში რომ პრუსსიამ ადგილები შეიძინა, იმ ადგილების მცხოვრებლები ძლიერ დაჩაგრულნი და გულნაკლულნი იყვნენ პრუსსიაზე.— საფრანგეთს იმედი ჰქონდა, რომ ეს ხალხი პრუსსიას უწინაალმდეგებდა, მაგრამ ამნაირ ადგილებშიაც ხალხი პრუსსიას ესარჩლება და მის ხელმწიფეს აღტაცებით იღებს და ეხმარება. ასე, მაგალითად, ქ. ლანოვერში, სადაც ხალხი განსაკუთრებით გაბრაზებული იყო პრუსსიაზე, შემდგარა სახალხო კრება, რომელსაც გარდაუწყვეტია პრუსსიას დაეხმაროს ომში. კილლის, ბონნის და სხვ. უნივერსიტეტის სტუდენტებს

# ფელეტონი

## ...მდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდგან

### VI *)

...ემო გზაზედ მოდიან: ცხენოსანი მოხუცებული ...იშვილი, ქაიხოსრო ქველიძე, ყალდიმ ჩამოკიდე-...და გვერდით მოსდევს ქვეითათ, გურული ყმა-...გლეხი კაცი, ბიტოია ბალოგრე, რომელსაც ...გაუდევია მხარზედ.—ესენი წამოეწევიან ერთს ...ე მჯდომს მგზავრს — აზნაურიშვილს პაპუნა ...ანს, რომელსაც ულვაშები ახლათ შეულებავს ...ყვითლათ და ყურებამდის ჰწვდება; თვითონ ისე ...და ამაყათ იყურება, რომ, წკიპარტი რომ ჰკრა, ...ერთს ადლზედ შახტეს.

...იხოსრო ქველიძე (პაპუნას რომ ...ავს)

...პაპუნა მიცოცხლა ღმერთმა!... რავა ...ობით გიკითხო?...

...აპუნა (ჯორს უკან დასწევს, მდაბლათ თავს ...ს ქაიხოსროს) ღმერთმან შენი ჭირი მომ-...

...აიხოსრო. (პაპუნას) საღ მიბრძანდებით, ...უკაცრავათ არ ვიყო?..

...პაპუნა. აგერ გახლავარ, ქუთაისს... თქვენ ...ნო?..

...აიხოსრო. მეც ქუთაისს გახლავარ.

...პაპუნა. საქმე გექნება, შე კაცო.

...აიხოსრო. (წყენით). აჰ!.. რაშუაშია!.. ...ლათ ლაპარაკობს). ბატონო, რაც ეს ახალი ...მართლოები გაჩნდა, ყოველი კაცი მე მნი-...ს მოწმეთ... დევილუპე, შენი თავი. არ მა-...ეს!... ხარჯი მაქვს, ბატონო, ხარჯი!...

...პაპუნა. ნულარ წახვალ, ვეჟო.

ქაიხოსრო. რავა ნუ წავალ?.. ერთხელ არ წაველ... ერთი სახე ყანა მქონდა მოსატეხი... და ძალუანი „სწრაფი“ გადამაშელიჭეს!..

პაპუნა. ქვე, რავა დაგემართა? ავათმყოფობის მოწმობას ვეიღებდი მამასახლისისაგან და წოუდგენდი „სუდიას.“

ქაიხოსრო. ვეე!.. ერთს კაი მანეთს ისიც გადამაშვლეჭინებდა, შე კაცო...

პაპუნა. ერთი მანეთის მიცემა სჯობია „სწრაფს“, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს!..

ქაიხოსრო. ჩვენში ერთი მარჩიელი ქალია, წამლობაც ქვე იცის... იმას გამოვართვი მოწმობა, „სუდიამ“ ქვე დეიწუნა.

პაპუნა. უი, ჩემს თავს!. ვუბედურობა ყოფილა ჰსწორეთ!

ქაიხოსრო. აპა.

პაპუნა. (ჩუმათ ქაიხოსროს ჰკითხავს ბიტოია ბალოგრეზედ)

მაგი ბიჭში ვინაა, ე, ცქვიტათ რომ მოგდევს?..

ქაიხოსრო. ეჰ, ბატონო, ჩემი ნათლულია, გურიიდგან, ოზურგეთ გაღმა სდგას... „სარდინკათაა“ *) „პოლკშიდ“ და ქუთაისს მომდევს... თუ გახსოვს, ჩოლოქში რომ ვიყავით, ჩხუბში, ესეც იქა მყავდა მაშინ!..

პაპუნა. მაგი არ მეცნობა და ჩოლოქის ჩხუბი კი რავა არ მახსოვს... თათრები რომ გაუდენეთ... დავასხი თავს ლაფი!..

ქაიხოსრო. ძალუვანი გეეიმარჯვეთ, შენ ნუ მამიკვდები... მაშინ უფრო მერჩოდა მუხლს..

პაპუნა. ძალუვანი ჩხუბი იყო, შენ ნუ მამიკვდები!... ოჰ, რო გამახსენდება!.. ბატონო, ჩემთვის ყალიონს ვსვამ, ჯერ სულ დილაა და შევხედე, შეიქნა ერთი ნძრევა, „ბათალიონები“ ეწყობა, აქანასა პუპუ! აქანასა პუპუ!.. გავარდა თოფი, გავარდა თოფი, გავარდა თოფი და გავარდა ზარბაზანი!.. ჰე! ვთქვი: ვინ ხარ მამაცი თქვა!... შეიქნა უშველებელი!.. მერე ხომ შენც იცი?.. ისე ყოველი მტერი დაგიმარცხოს ღმერთმა, რავარც ჩვენ ისინი დავამარცხეთ!...

ქაიხოსრო. ბატონო, მაშინ შევედი ერთ კორტოხზედ, ვსთქვი გადავიხედავ თქვა, თუ რავა ეწყობა რაზმი-რაზმზე თქვა, ან თანთარი საით უმფრო მძლავრია თქვა... ეს ბოვშიც თან მახლავს... (ბიტოიაზე ანიშნებს). რომ გადვიხედე, კარგა ვერ გავარჩიე, ხშირი ტყე იყო და უთხარი ბოვშს, შენ აქ მომიცადე თქვა და მე კი დევიწიე... რომ დევიწიე, მაშინ გახშირდა თოფის და ზარბაზნის ცემა და გამოჩნდა დაბრუნებული თათრები... აწი რაღა ვქნა?.. დევეშვი დაბლისკენ და იქ ქვე შევხედი ჩვენებს. მარა, აწი ამ ბოვშის დარდი მაქვს: ვაი თუ მოკლეს თქვა!..

ბიტოია. (სხაპა-სხუპით მოლაპარაკე, ქაიხოსროს.) დედა!.. მიმატოვე კუნტრუცოზედ... გიყუნცულე, გიყუნცულე, დავტრაკე და წამოვედი!.. აპა რაღას ვიზამდი?...

პაპუნა. (ბიტოიას) ჰაი, შე ჰაკო!.. რავა გამოიქეცი?..

ბიტოია. (წყენით) აგი, რა!.. აგი ჩემმა მტერმა თქვა!.. ჩვენი- კაცი აღარ ჩნდა და თათარს თავს შევაკოჭეიებდი თუ?.. ღმერთო მომკალ მაშინ!.. ერთი მაჭახელა მაინც ხომ ვესროლე... (პაპუნას) მაგრამ, შენ თუ კაი ვაჟა იყავ, რატომ შენ არ მიბრძანდი იქ?..

პაპუნა. იმოდენი ღვთის წყალობა მქონდეს, რამდენ თანთარს მე იქ ლეკური ვშელიჭე!...

(ამ ლაპარაკში, ეს მგზავრები ქუთაისის ქალაქში შემოვლენ; პაპუნას ჯორი აქლემებს დაინახავს, შეფთხვება და უკან-უკან იწევს).

პაპუნა. (ჯორს) იიმე!.. უი, წავხდი!.

ქაიხოსრო. (პაპუნას) დეზი მაგას, დეზი, ბოშო!..

პაპუნა. (დეზსა ჰსცემს ჯორსა). ჩოჩი! (ჯორი უკან-უკან იწევს). ვეი! ვეი!. უი, წავხდი!.. ჩოჩი, შე სამგლევ!... (ჯორი დაიწყებს ტრიალს) ჰეი! ჰეი!.. დაგესხა თავს ლაფი!.. აგერ ხომ კიდეც მოვედით.. ჩოჩი, შე სამგლევ!.. (ჯორი უფრო გაჯიუტდება, პაპუნა მათრახსა ჰსცემს და დეზით სჩხვლეტს გვერდში, როგორც შაუძლიან; ჯორი ტლინკებს ყრის, პაპუნა იძახის: „უი, წავხდი! უი, წავხდი!..“ ბოლოს ჯორი შეჰხტება და პაპუნა ძირს დაეცემა; ჯორი გაიქცევა).

ქაიხოსრო. (ჯორს) ოჰ, ქრისტემ დაგწყევლოს!.. (ბიტოიას) არიქა, ბიტოიავ, ჯორს მოგეეხმარე, ჯორს!.. (ბიტოია ჯორს გამოუდგება).

პაპუნა. (წამოდგება, გვერზედ ხელს იკიდებს, ილმანჭება, კოჭლობით სამიკიტნოსკენ მიდის და ჯორზედ გულმოსული ლაპარაკობს).

მამალმა მგელმა შეგჭამა!.. ვუიპე, ვუიპე, გვერდი!..

ქაიხოსრო. (პაპუნას). რა იყო, ბოშო, ხომ არა იტკინე რა?..

პაპუნა. ვუიპე, გვერდი!.. ოჯახი დაექცეს იმის გამომცემელს!..

(ამ დროს ბიტოია ჯორს მოიყვანს, მგზავრები სამიკიტნოს დერეფანში მივლენ დასასვენებლათ).

ბიტოია. (პაპუნას და ქაიხოსროს). დედა!. აგი, ჯორი კი არა, ჭინკა ყოფილა!.. ჩემი რომ იყოს, ფიშტოს ვესროდი!...

*) „დროება“ 1870, №№ 20 და 27.

*) Всадникъ, ცხენოსანი.

სწავლა მიუტოვებიათ და პრუსსიის ჯარში სალდათებათ შესულან.

მთელი გერმანია სწორეთ ალტაცებაზე მეტს შვრება, — ისე გულმხურვალეთ ეხმარება ის თავის მმართებლობას ომის გაგრძელებაში.— საფრანგეთში კი საქმე სულ სხვაფრივ არის. იქ ხალხი ხშირად ომის წინააღმდეგ მოქმედებასაც ბედავს. სხვა მაგალითებს შუა ერთს მოვიყვანთ, რომელიც ამ უკანასკნელ ხანში მოხდარა. პარიჟიდან შალონის ბანაკში ერთ-ბატალიონ ყმაწვილ კაცებს გზავნიდენ; ამ ბატალიონმა მაშინვე ყვირილი დაიწყო მინისტრების, ოლლივიეს და იმპერატორის წინააღმდეგ, და მაგიერთ „გაუმარჯოს ღმერთმა რესპუბლიკას!“ იძახა.

საფრანგეთის ჯარის დამარცხებას დიდი გავლენა ჰქონია საფრანგეთის კანონ-მდებელ კრებაზე. ჯერ ერთი ის, რომ შიგ ზოგიერთ დეპუტატებს აზრი გამოუთქვამსთ, რომ საფრანგეთის ჯარის დამარცხება ნაპოლეონის ბრალია და კარგი იქნება, უფროსობას ის სხვა ვისმეს რომ გადასცემდესო. ერთ დეპუტატს, რომელიც ძალიან მშვიდობიანი დეპუტატების რიცხვში ურევია, კიდევაც თვითონ ნაპოლეონის ტახტიდან ჩამოსვლის საჭიროება გამოუთქვამს. რასაკვირველია, რომ ოლლივიეს და მის ამხანაგებს, რომელთაც ომის დამზადება ხეირიანათ ვერ მაახერხეს, სამინისტრობის მიტოვება დასჭირდათ. მათ მაგიერათ საფრანგეთის სამინისტრო ჩაბარდა გენერალ პალიკაოს.

როცა საფრანგეთმა პრუსსიას დავა აუტეხა და ცოტა ხნის შემდგომ ომი გამოუცხადა, ყველას ეგონა, რომ საფრანგეთის მმართებლობა საომრათ მომზადებულა და ცდილობს პრუსსიას დამზადების დრო არ მისცესო. ეს მართლა აზრში მოსასვლელი საქმე იყო და ამ აზრზე ადგენ თითქმის მთელი ევროპის გაზეთები, მინისტრები და მმართველები. როგორც სჩანს, თავათ პრუსსიის და საფრანგეთის მმართებლობაებიც ამ აზრის ყოფილან, და მართლა გონებიათ, რომ საფრანგეთი საომრათ პრუსსიაზე უფრო ადრე დამარაგებულაო.

ეს დამარაგება რომ ნამდვილი ყოფილიყო, საფრანგეთის მდგომარეობა ძალიან გაადვილდებოდა: მინემ პრუსსია და გერმანია თავიანთ ჯარს საომრათ დაამზადებდენ და შინ დაბინავებულ ლანდვერს გამოაწვევდენ, საფრანგეთის ჯარს შეეძლო შუაგულ გერმანიაში შესულიყო, იქ უმთავრესი ციხე-ქალაქები დაეკავა და გერმანიის ჯარის შეერთება გაეძნელებია, ანა და სრულებითაც მოესპო. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, გამარჯვება საფრანგეთს დარჩებოდა, და ეს აზრი აშფოთებდა როგორც გერმანიას, ისე გერმანიის ერთობის მომხრეებს.

მაგრამ ომის გამოცხადების შემდგომ გავიდა რამდენიმე დღე, თითქმის რამდენიმე კვირაც, ისე, რომ საფრანგეთის ჯარმა საფრანგეთის სამძლვარს ვერ გადაბიჯა. ამასთანავე გამოჩნდა, რომ თვითონ სამძლვარზე არც საკმაო ჯარი იყო მოსული, არც მოსული ჯარის საყოფი საზრდო, ასე რომ საფრანგეთის ჯარში ზოგან თურმე უკმაყოფილებაც და შფოთიც ატეხილა საზრდოს უქონლობის გამო....

ამასობაში, გერმანიის სამხედრო მთავრობა, რომელიც პრუსსიის ხელმწიფის ხელშია, გამწვარებულათ კრებდა ჯარსა და ლანდვერს, ამზადებდა საზრდოს და იარაღს.—ისეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრუსსიის მმართებლობას მუდამ სახეში ჰქონდა, რომ ნაპოლეონი ადრე თუ გვიან პრუსსიას უსათუოთ ომს გამოუცხადებდა; ამისგამო პრუსსიის მმართებლობა ამ ოთხი წლის განმავლობაში ჯარს და სამხედრო საქმეებს დიდ ყურადღებას აქცევდა.

რაკი გერმანიის ჯარი დამზადდა, მმართებლობამ მაშინვე ისურვა თვითონ საფრანგეთში გარდაეტანა ომი, და არა გერმანიის მიწაზე დახდომოდა საფრანგეთის ჯარს.

ჯერ ჯერობით, რასაკვირველია, შეუძლებელი საქმეა შეტყობა, თუ რა პლანით უნდოდათ ომის მოხდენა საფრანგეთს ან პრუსსიას. მაგრამ, როგორც ჯარის გაგზავნ-გამოგზავნიდან სჩანს, საფრანგეთის მთავრობას ნდომია თავისი ჯარი შიგ შუა-გულ გერმანიაში შეეყვანა, რომ ამ საშუალებით გერმანია და გერმანიის სამხედრო ძალა ორ ნაწილათ გაეპო და მერმე ცალ-ცალკე დაემარცხებია ჩრდილოეთელი და სამხრეთელი გერმანიის ჯარები.

გერმანიის მთავრობამ საფრანგეთისას ამ პლანის ასრულება არ დააცალა. მისი ჯარები ორი მხრით შესულან საფრანგეთში; ისინი დაყოლიან ორ რკინის გზას, რომელნიც ჩრდილოეთელ გერმანიიდან პარიჟს მიდიან. სადაც ეს რკინის გზები იწყებიან საფრანგეთის სამძლვარზე, იქ ერთ გზაზე დგას ქალაქი საარბრუკი, და მეორე გზაზე—ციხე-ქალაქი ვ ე ი ს ე ნ ბ უ რ გ ი. პირველი შეტაკება საფრანგეთის და გერმანიის ჯარებს შუა ამ ორ ადგილს მოხდა. ჯერ საფრანგეთის ჯარმა აილო საარბრუკი, ისე, რომ პრუსსიელებს თითქმის თოფის უსროლელათ დაეცალათ ქალაქი. მაგრამ რამდენიმე დღის შემდგომ პრუსსიის ჯარმა საფრანგეთის გენერალი ფროსსარი გადენა, ხელ ახლავ საარბრუკი დაიკავა, და რკინის გზას დაყვა, საფრანგეთში შესასვლელათ. იმავ დროს, მეორე რკინის გზის თავში, ვეისსენბურგში, გვარიანი ბრძოლა ატყდა გერმანიელებს და ფრანცუზებს შუა, რომელშიაც გერმანიელებმა გაიმარჯვეს, და გაქცეულ ფრანცუზებს ხუთასი კაცი ტყვე წაართვეს. ცოტა ხნის შემდგომ ვეისსენბურგის სიახლოვეს დახვდა გერმანიის ჯარს საფრანგეთის უმჯობესი და სახელ გათქმული სარდარი, მარშალი მაკ-მაჰონი, მაგრამ მძიმეთ დამარცხებული იქნა და უკან დაიხია. მასაქეთია გერმანიელები სულ წინ მიდიან, ასე რომ მათ ჯარს სამძლვარს და პარიჟს შუა თითქმის მეოთხედი გზა გაუვლია, მერმე ის მეოთხედი, სადაც საფრანგეთს ყველაზე უმეტესი ციხეები და სხვა საომარი იარაღი და ჯარი ჰქონდა დამზადებული.

მკითხველს იქნება გაგონილი ჰქონდეს, რომ ის ადგილი, სადაც ეხლა გერმანიის და საფრანგეთის ჯარები ერთმანერთს ხოცვენ, ადრევე გერმანიას ეკუთვნიდა და ეხლაც გერმანიის ტომის ხალხითაა დასახლებული, ასე რომ მისი მცხოვრებლები გერმანიელ (ნემეცურ) ენას ლაპარაკობენ.

ამგვარია, მაგალითად, ელზასი (ფრანცუზულათ ალზასი), ლოტარინგია (ფრ. ლ...ნი) და სხვ. ეხლა, რაკი გერმანიას ზოგიერთი ამ ადგილებთაგანი დაიკავა, ძალიან დაიხლართება და შერიგება გა... დება, ამიტომ რომ, თუ გერმანიას გე... უმტყუნა, ის ამ ადგილების უკან და... ბას აღარ მოინდომებს, და საფრანგეთ... კი მათი დაკარგვა საზარელი საქმე ი... პრუსსიის ხელმწიფეს კიდევაც გამ... ბრძანება, რომ ამ დაკავებულ ადგი... საფრანგეთის სახელმწიფო წყობ... (კონსტიტუცია) დღეის იქეთ მოსპობ...

„პეტერბურგის უწყებების“ კორრ... დენტი იწერება მიუნხენიდგან (ბავარი... ხტო ქალაქიდგან), რომ ბავარიელებ... ოტული მოძრაობა საქმით უფრო ერ... ბა და ჩნდება, მინემ სიტყვით და ღრია... თვითონ მიუნხენში ქალაქს ათასი ს... დაუმზადებია დაკოდილებისთვის. ამას... ბევრი კერძო პირებიც თავიანთ სახ... ოცი, ოცდაათი, ორმოცდა ათი კაცის... ლს ამზადებენ თურმე. ბავარიის ხელ... თავისი საზაფხულო სასახლე, მისი გა... ლებით, გადაუცია იმ საზოგადოებ... რომელსაც მიზნათ დაკოდილების ... აქვს. შიგ ასი საწოლი დაეტევა. ნ... ბერგში ერთ ქალს მდიდარი საჩუქარი ... შნავს იმისთვის, ვინც პირველათ ახალ... გონილ კარტეჩის ზარბაზანს (მიტრალ... წაართმევს ფრანცუზებს. როგორც სწერს კორრესპონდენტი, საფრანგეთში ... ოტული მოძრაობა ისე კარგათ ვერ ... როგორც გერმანიაშიო.

ერთი ბელგიური გაზეთის კორრესპ... ტი, რომელიც პრუსსიის ჯარს უნდა ა... სწერს თავის გაზეთს სხვათა შორის, შ... ამბებს: კელნში, (პრუსსიის ქალაქი, ... რომელიც ეხლა სამხედრო მთავრობ... რია, პოლიცია და სხვა უფროსები ... სჩანან, მაგრამ უნდა ეთქვათ, რომ თუ... ლაქში დაუთვალავი ხალხია შეკრებილ... არაფერი დანაშაულობა და ავაზაკობა ა... ხდარაო.

---

VII

ორი „კნეინა“ დაბძანებულა გასტინაში: მელანია წიწმატაძისა და მაია პირლამაზიშვილისა. მელანია კრიანოსანს ათამაშებს; მაია „ალბომსა“ ჰშლის.

მ ა ი ა. ეს ვინარი, ქა?

მ ე ლ ა ნ ი ა. (ჩაჰხედავს „ალბომში“) ესა?.. კნიაზ პროლეტაევია, ქალო.

მ ა ი ა. ის არი?.. უცხო შესახედავი კაცი ყოფილა!.. ცოტა ჯღუნაა თორემ... მაგრამ, რა უჭირს! მდიდარს ამბობენ... რატო შენს ქალს არ მისცემ?...

მ ე ლ ა ნ ი ა. უი, ქა,! . . . ერთი ქალის მეტი არა მაბადია რა, და იმ სიშორეს როგორ გავათხოვო?

მ ა ი ა. (ჩაიცინებს, ისე რომ მელანიამ ვერ დაინახოს და თავის გუნებაში ამბობს):

მითომ კიდეც შეირთო და არ აძლევს, (მელანიას). კარგსა შვრები, რომ შორს არ ათხოვებ... (ალბომში იყურება) ეს ვილაა, ქა?

მ ე ლ ა ნ ი ა. (ალბომში უყურებს). ეგა?.. ჩვენი ელენეს შვილია.

მ ა ი ა. უი, ქა! ჩინოვნიკი ყოფილა?..

მ ე ლ ა ნ ი ა. არა, აფიცარია.

მ ა ი ა. ამას მაინც რატომ არ შეაძლევ?.. მაგისი კაი ქება გამიგონია.

მ ე ლ ა ნ ი ა. ვიშ, ქალო!.. მეტის მეტსა თხოულობენ.... რაც მაბადია, ხომ ჩემის ქალისათვის მინდა; მაგრამ ათას თუმნობითაც აღარა სჯერდებიან.

მ ა ი ა. გაგონილა?!. ეს ვილაა?.. გიორგი არ არის? ჩინეთლიშვილი?...

მ ე ლ ა ნ ი ა. დიახ.

მ ა ი ა. აი, კაი საქრმო! რატო ამას არ აძლევ?...

მ ე ლ ა ნ ი ა. უი, დამიდგა თვალები!... როგორ იქნება?—გიორგი ჩინეთლი-შვილი, ჩვენი ნითესავია.

მ ა ი ა. მა, რა თქვა... „საიდან სადაო, წმინდა საბაო!“

მ ე ლ ა ნ ი ა. რაებს იტყვიან, ქა?... სამ-სამზე ვართ....

მ ა ი ა. არც სამზე ხართ და არც ოთხზედ!..

მ ე ლ ა ნ ი ა. (კრიანოსითა სთვლის). აი ბატონო,—სულხან, იმისი შვილები: იოთამ და ბარძიმ მამა ჩემი, მე და ჩემი ქალი ანიკო..... ახლა მეორე მხარე:—სულხან, იმისი შვილები: ბარძიმ და იოთამ, იოთამის შვილი—გიორგი... სამზედ და ოთხზედ არიან: ანიკო და გიორგი.

მ ა ი ა. რაპასუხია?!... სულხანს ჯერ ავთანდილ ჰყვანდა და ავთანდილის შვილები: ბარძიმ და იოთამ იყვნენ.

მ ე ლ ა ნ ი ა. რას ამბობ, ქალო?. მე უკეთ არ ვიცი!—სულხანს ავთანდილ სულაც არა ჰყოლია!....

მ ა ი ა. მართლა?... მაშ არქიელსა სთხოვე და ნებას მოგცემსთ ჯვარის წერისას.

მ ე ლ ა ნ ი ა. ვერა გენაცვალე! რაზედ გავიჭირო საქმე... რაზე გავაუბედურო, ერთი ქალი მყავს....

მ ა ი ა. უცხოთა შვრები და პატიოსნათ... რა მაგ სიტყვის პასუხია, და, ამაღამ ლოტოზედ არა ხარ დაპატიჟებული, ქვერნაძიანთას.

მ ე ლ ა ნ ი ა. როგორ არა, მაგრამ, მე ლოტოს აღარა ვთამაშობ. მაინც დაგვცინიან და.

მ ა ი ა. ვინა ვინ დაგვცინის?.. აი ის ვიღაც მესტვირეები რომ სჯდაბავენ?. თვალიმც გამოჰხეთქიათ!.. იმათ რა ყურს უგდებ, ქა?

მ ე ლ ა ნ ი ა. არა, მე იმათ ყურს არ უგდებ მაგრამ, ზოგიერთმა ქალებმა ლოტოში აყალ-მაყალი დაიწყეს და მეც იმიტომ აღარა ვთამაშობ... ახლა „იარალაშს“ გავეწყე.

მ ა ი ა. მართლა? მე იმისი სულ ვერა გავიგერა... ხან გეჯავრდებიან: „დიდიდგან რათ გამოხველო“—რატო პატარიდგან არ გამოხველო, ხან იძახიან: „რატო დიდიგან არ გამოხველო და არის ერთი ჩხუბი... ჭკუა დამებნევა ხოლმე!... მაშ წამოხვალ, ამაღამ რალა ქაჯან?...

მ ე ლ ა ნ ი ა. წამოვალ, წა!

მ ა ი ა. მაშ, მშვიდობით, გენაცვალე! (წამოდგება და მიდის).

მ ე ლ ა ნ ი ა. მშვიდობით! (მაია რომ გავა მელანია ამბობს თავისთვის:) რა ყბედი რამ არის გენაცვალეთ!.. მგონია ჭორების მოსაკრებათ მოვიდა.... თვალიმც დაუდგება!....

VIII

ქ. თფილისის ქუჩა'ში მოჩანან კინტოები.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ი ნ ტ ო. (თაბახი უდგას ბალით სავსე, თაბახის გვერდზედ საწონი ყურიანი თუჯები უწყვია; მხარზედ გადაგდებული აქვს სასწორი; თვითონ ახალუხაა, ლურჯი მაღლა აწეული ბამბის შარვლით, ფეხ შიშველი, თუშური ქუდი ხურავს, რომელზედაც გრგვლათ დახვეული ძონძი ადევს თაბახის დასამაგრებლათ). ჩერეშნი..ი..ი... ო...ო...ო!..

მ ე ო რ ე კ ი ნ ტ ო (ამნაირათვე ჩაცმული, მაგრამ უქუდო). სპიჩკი, ლიმოოონი!..

მ ე ს ა მ ე კ ი ნ ტ ო (უფრო მოზდილი... ბახული ჩოხით, მაღალ ქუდა და მაღალ ... წაღებით). ვარიეები!.. (კიპლონკი!...

პ ი რ ვ ე ლ ი კ ი ნ ტ ო. „შენზედ კარ... მიდოდა, სერცუ პიჩალ ნაშტუ მენე!“.. შნი...ი...ი...ო...ო!...

მ ე ო რ ე კ ი ნ ტ ო...„ახ თვალებო!..“ კი, ლიმოოონი!..

მ ე ს ა მ ე კ ი ნ ტ ო. ვახაკ, ვარიებსა!

პ ი რ ვ ე ლ ი (მეორეს). ეჰეი!.. ჩემ ... რათ დადიხარ?..

მ ე ო რ ე (პირველს) ბადი შენი გამო... ნელის... (აქ ერთს შეუკურთხებს).

პ ი რ ვ ე ლ ი (მეორეს). ვის აგინებ ქაჩალი...? (ერთს ესეც შაუკურთხებს და მი... ცემრათ).

მ ე ს ა მ ე. რა გაჩხუბებთ, თქვე ავო... რა გაქეთ გასაყოფი?..

„ბუდოჩნიკი“ (კინტოებს). Чего вы шумите?..

მ ე ს ა მ ე კ ი ნ ტ ო (ბუდოჩნიკს) პაშო...

—ბუდოჩნიკი. (კინტოებს) Пошли отсюда!.. (უდგება ჯოხით; კინტოები გაიქცევიან).

პ ი რ ვ ე ლ ი კ ი ნ ტ ო (ბუდოჩნიკს დგან) „შტო ტი“...

ბ უ დ ო ჩ ნ ი კ ი (კინტოებს) Пошли, ли! (ფეხებს უბრახუნებს, კინტოები მიეჩქარებიან...)

მ ე ო რ ე კ ი ნ ტ ო. სპიჩკი ლიმო...

მ ე ს ა მ ე. ციპლატი, იაიცი!...

პ ი რ ვ ე ლ ი. ჩერეშნი...ი...ი, ო...ო...

(კინტოები სხვა და სხვა ქუჩებში გადუ...

თ. რაფ. ე...

...პრუსსიის ჯარზე ისვე კორრესპონდენტი ...ება, რომ სალდათები და რეზერვის და ...ნდვერის წევრები ომში ძლიერი გადაწყვე...ებით მიეჩქარებიან, რადგანც დარწმუნებუ...ნი არიან, რომ მათ ცოლშვილს, თუ ვინი...ბაა ობლობა მიადგა, საზოგადოება და სა...ენწიფო გაჭირვებას არ დააყენებს, და საკ...ო შემწეობას დაუნიშნავსო.

...ომის დროს, პრუსსიის ჯარს არც საბნები ...ეს, არც კარვები: ჯარი ცარიელ მიწაზე ...ლი იწვეს, და ტანზე მარტო სამგზავრო ...ტო უნდა ეხუროს. კორრესპონდენტი ...ბობს, რომ ამ ნაირი წესი სავნებელი კი ...რა ძლიერ სასარგებლო არისო ჯარის სიმთე...ობისთვის,

...მეორე კორრესპონდენტი სწერს: პრუსსიის ...ი და ხალხი დიდი მამაცობით და იმედით ...ებენ ომს: იმათში ვერავის გააკვირვებს ...ჯვება და გულს ვერ წაუხდენს დამა...ხება. ისინი აღტაცებით კი არა, გულწრ...ლით შეეგებენ ომს, თითქმის სიამოვნები...ც, ამიტომ რომ მათი აზრით ეს ომი ადრე ...ვიან მაინც უნდა მომხდარიყო, და აქ (პრუსსიაში) გახარებული არიან, რომ ეს ომი ...სთანა დროს იწყება, როცა პრუსსია სათ...ოთ მზათ არი'.

# საქართველო

...თათვის 31-იდგან ქუთაისიდგან იწერე..., როგორც შევიტყეთ სოხუმში და ზუ...კარანტინში თითო კვირობით იჭერენ ...ლელ მამსვლელსა, ხოლერა ხომ არა ...რთო. ამ უკანასკნელ ჟამს ტაგანროგში ...ვანაც ხოლერაა, ეშინიანთ რომ იქიდგან ...ულმა გემებმა ჩვენკენაც არ გადმოიტა...ს.

*
* *

როგორც გვესმის ქართლში იმ შკოლებს ...ა, რომელნიც სხვა და სხვა დროს ყო...ან მოხსენებულნი „დროებაში“ კიდევ ...ა სოფლებშიაც არიანო; სახელდობრ: რუ..., ქარელში, ქავთისხევში და ახალქალაქ....

*
* *

...ოთის რკინის გზისთვის ხიდების აშენებას ...ლშიაც შესდგომიან. ხიდისთავში და ქა...ლში თუჯის სვეტებს ასვამენ. მუშაობენ ...თველები და უფრო ოსები, რომელთაც ...ვათ დღეში კაცზე ოთხი აბაზი. მუშები ...ან ემადლიერებიან ინგლიზებს, რომ ძა...ან ძალას არ ატანენ და არ აწუხებენ მუ...ობაში, სადილთუკანობით აძინებენ და ...ჯერ ღვინოსაც ასმევენ.

*
* *

„მოსკოვის უწყებების“ სიტყვით საფინანსო ...ინისტროში არის დიდი მთავრის კავკასიის ...ესტნიკის პროექტი, რომ შესდგეს კამპა...ა ქვის ნახშირის მადნის შესამუშავებლათ ...ვკასიის მხარეში და ამ მადნის ადგილის ...საერთებლათ ფოთის რკინის გზასთან.

# რუსეთი

ხელმწიფე იმპერატორს უნებებია ახალი ...ლებულების დამტკიცება საქალაქო გამგე...ბაზე. როგორც ჩვენ ოცდა მესამე ნომერ...ი დავპირდით მკითხველებს, ამ მოკლე ხან...ი ვრცელ სტატიას დავბეჭდავთ, რო...ლშიაც დაწვრილებით ახსნილი იქნება თუ ...აში მდგომარეობს ახალი საქალაქო გამგე...ბის წესი, რომელიც ღირსი შეიქნენ რუსე...ის ქალაქები.

*
* *

მარტო ერთი ღამის განმავლობაში, 16 დან ... 17 ივლისს, პოლიციას დაუჭერია ოდესსა...ი ექვსასი კაცი, რომელნიც, ბინის უქონ...ლობის გამო, ღამეს ბაღებში, ქუჩებში და ...ტარებდენ. პოლიციამ მაშინვე გაათა...ისუფლა ყველა, ვისაც კი პასპორტი ჰქონ...და; მაგრამ 387 კაცი მაინც დაჭერილი დარჩა. *Спб. Вѣд.* 201.

— 22 ივლისს იწერებიან ტაგანროგიდგან, რომ იქ ხოლერა თან და თან ძლიერდებაო: დღეში თურმე ან ოცი, ან ორმოცდა ათი კაცი კვდება. ავათმყოფობა განსაკუთრებით მუშა ხალხს ედება. *Голосъ,* 203

— ნოვოროსსიისკიდგან (შავი ზღვის პირზე, კავკასიაში) იწერებიან, რომ იქ თითქმის ყოველ ახლათ მოსულ ორთქლის გემს დასასახლებლათ ჩეხები, მოჰყავს რომელნიც უწინ ოდესსის ახლო-მახლო სახლდებოდენ. ზოგიერთი მათგანი სახელმწიფო გემს „ილბუზს“ ანაპაში გადაუყვანია. *Рус. Инв.* 164

„პეტერბურგის უწყებებში“ დაბეჭდილია, რომ კიევის გუბერნიაში გლეხების მოძრაობა ყოფილა, რომლის დასამშვიდებლათ მთავრობას ჯარი უხმარია. ამ მოძრაობის მიზეზი ჯერ არ ამოჩენილა, ამბობს ზემოხსენებული გაზეთის კორრესპონდენტი; მაგრამ გლეხ-კაცობის საქმე გვგონია ვერ გადურჩეს კიდევ უარესს და უსიამოვნესს დაბრკოლებასაო, რომელიც, თურმე, მიწის გამოყიდვაზეა დამოკიდებული. ამას გარდა, მიწის დანიშვნის დროს, მებატონეებს ხშირათ თურმე ისეთი ადგილები მიუგდიათ გლეხებისთვის, რომელიც არც სახნავ-სათესათ არც სათიბათ ვარგოდნენ. გლეხებს ამაზე საჩივარი შეუტანიათ, და მთავრობასაც მათი საჩივრისთვის ყურადღება უთხოვებია, მაგრამ მებატონეებს ძლიერ მცირედი რამ უთავაზებიათ, — მაგალითად, ცოტაოდენი ახალი ადგილი მოუმატებიათ, რომელიც უწინდელივით უსარგებლო და გამოუსადეგარია. *Спб. Вѣд.* 202.

თითქმის ამ ნაირივე საქმე ხდება რუსეთის მეორე კიდეს, — ნიჟეგოროდის გუბერნიაში. იქიდან სწერენ „პეტერბურგის უწყებებს,“ რომ ერთი სოფლის (ვასილევ-მოიდანის) გლეხებმა მებატონესგან ისეთი მიწა მიიღეს, რომელიც მათი აზრით არც გამოსადეგი იყო, არც სოფლის ახლო იდვა, როგორც კანონი თხოულობს, და ზომითაც წესიერზე ნაკლები იყო: იმათ რომ შვიდასი დესიატინი ერგებოდათ, ორას თუთხმეტი აკლდა.

გლეხებმა თურმე საჩივარი შეიტანესო, მაგრამ მაზრის მთავრობამ არ გაინხილა: მტყუანი იყვნენ გლეხები თუ მართლები; იმან მებატონის სიტყვისამებრ, გაწკეპლა გლეხების ამორჩეული პირები. მაგრამ გლეხებმა მიწის გადასახადი არ შეიტანეს; ასე რომ იმათ თორმეტი ათასი მანეთი და ათასი დღის საჰუშაო დაედო ვალათო. ამის გამო იმათ მუდამ ეგზეკუცია ადგიათ თავზე; ეხლანდელი მათი მდგომარეობა თურმე ძლიერ საუბედუროა: ას ოცდახუთ კომლზე ორმოცდა ათს ძლივს ჰყავს ცხენი. — მთავრობას უთქვამს, ზემლემერი მოიყვანეთ და თუ გამოჩნდა რომ მართლა ნაკლები მიწა მოუცია თქვენთვის მებატონეს, კანონიერი წესით იჩივლეთო. *Спб. Вѣд.* 189

თემირ-ხან-შურიდგან სწერენ პეტერბურგის უწყებებში“, რომ დაღესტანში ტყე ძლიერ შემცირდაო. უწინდელ დროში იქ ვრცელი და სხვა-და-სხვა გვარი ტყეები იყვნენო. ხალხს რომ ჭკუით და ხეირიანათ გამოეყენა ეს ტყე თავისი საჭიროებისთვის, დღესაც ბევრი იქნებოდაო; მაგრამ ხალხს ტყე იმ ნაირათ მოუხმარია, რომ ცოტა ხნის შემდგომ დაღესტანში თითქმის სრულიათაც გააქრეს ტყის სახელიო.

ამის მაგალითათ მწერალს თვითონ თემირ-ხან-შურის მდგომარეობა მოჰყავს. ამ ქალაქს უწინ თურმე გვარიანი ტყე ერტყა, მაგრამ მცხოვრებმა ერთიანათ მოსჭრეს ეს ტყე შიგ შათ, ასე რომ ბუჩქების მეტი არა დასტოვეს რა. ეს ტყე რომ გამოელიათ, თვრამეტი ვერსის მოშორებით, ალაჩ-ქალეს, მეორე ტყე იყო, და იმას მიადგნენ. ეხლა ეს ტყეც თითქმის სრულიათ მოუჭრიათ, და თემირ-ხან-შურა უტყეოთ დარჩენილა. მის მცხოვრებს ეს საქმე არ დაემართებოდათ, ტყე ერთიანათ რომ არ გაეკაფათ და გასახარებლათ წვრილმანი ხე გაეშვათ. *Спб. Вѣд.* 201.

კურსკის ერობას წარუდგენია მთავრობისთვის ისეთი სატუსაღოს პროექტი, რომელშიაც ჩაისმევიან მხოლოდ ახალგაზდა დამნაშავენი, და რომელშიაც იმათ რასმე ხელობას ასწავლიან. *Рус. Инв.* 161.

# უცხო ქვეყნები

## პრუსიის გაძლიერება გერმანიაში

(ისტორიული მიმოხილვა)

შინაგანი მმართვა — ალებ-მიცემის და ხელოსნობის გავრცელება — „დამოჟნის ერთობა“ — 1848 — პრუსსიის და გერმანიის პოლიტიკური პარტიები — ბისმარკი — 1866 — სამხრეთის გერმანია — ეხლანდელი პარტიები — პრუსსია და საფრანგეთი.

### XIV

მაგიერათ, პრუსსიის მმართებლობა ყოველნაირ საშუალებას ხმარობდა, ოღონდ კი როგორმე გაეუმჯობესებინა ალებ მიცემის და ხელოსნობის მდგომარეობა. ის მმართებლობა, რომელიც დღე და ღამ ცდილობდა უწინდელ მდგომარეობაში დაეტოვებინა პოლიტიკური წესი, და არაფერი ცვლილება არ შეეტანა პოლიტიკურ კანონებში და მმართვის რიგში, ვითომ და იმ მიზეზით, რომ ეს რიგი და წესი ჩვენზე უფრო ჭკვიან წინაპარებს დაუარსებიათო, ის მმართებლობა ყოველ დღე რამე ნაირ ცვლილებას ახდენდა იმავე წინაპარების დაარსებულ სავაჭრო და სახელოსნო წესში...

პრუსსიაში, უწინდელ დროში, ხელოსნობა თითქმის სრულიადაც არ იყო გავრცელებული. მმართებლობამ ბევრი წესდებულება გამოსცა, რომელიც სხვა-და-სხვა უპირატესობას აძლევდენ ქარხანის ან ფაბრიკის გამმართველ პირებს; ამ უპირატესობის გარდა, თვითონ მმართებლობა ხშირათ ეხმარებოდა მცოდნე პირებს, რომელთაც რამე ხელოსნობის შემოტანა უნდოდათ პრუსსიაში. — პრუსსიის კანონებიც იმ ნაირათ შეიცვალა, რომ ხელოსნობას გვარიანი თავისუფლება და სულის მობრუნების შეძლება მიეცა...

ამის მიზეზით ხელოსნობა მალე გავრცელდა პრუსსიაში: თითქმის ყოველ დღე იხსნებოდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, ხალხში რეალური, ან უფრო სწორეთ ვთქვათ, ტეხნიკური სწავლა ვრცელდებოდა, რომლის შემწეობით პრუსსიას ძალიან ბევრი მოხელოვნე პირები შეიძინა. ზოგიერთი ადგილები, განსაკუთრებით იქ, სადაც ქვის ნახშირი ან მდინარეები ბლომათ იყო, სრულიად აივსენ ქარხნებით; ასე, მაგალითად, „რეინის პროვინციებში“ იმნაირათ გავრცელდა ხელოსნობა, რომ იმოდენა ფაბრიკები და ქარხნები, იმოდენა ვაჭრობა სხვა ადგილს, ინგლისს გარდა, ძლიერ იშვიათათ იპოვება.

### XV

ამ კეთილ საქმეს გარდა, პრუსსიის მმართებლობამ მეორე, უმჯობესიც ქმნა. მკითხველმა იცის, თუ რა ნაირათ დაცალცალკავებული იყო გერმანია წვრილმან სამთავროებათ. ყოველ სამთავროს თავისთვის დამოჟნა ჰქონდა გამართული, რომელიც გარშემო ევლო პაწაწინა სახელმწიფოს, და სხვა ადგილებიდან შემოტანილ საქონელს გვარიან ბაჟს ახდევინებდა. გერმანიის მთავრებს დამოჟნიდგან ედგათ სული, და რასაკვირველია, რომ ისინი დამოჟნის შემოსავალს თავს ადვილათ როდი დაანებებდენ. და რადგანც გერმანიაში ბევრი სამთავროები იყო, ხანდისხან ისეც მოხდებოდა, რომ ერთ საპალნე საქონელს, მაგალითად, ერთი დღის განმავლობაში სამი ოთხი სახელმწიფოს და დამოჟნის გავლა მოუხდებოდა. დამოჟნის გავლა ფულის გადახდას ნიშნავს. მაშასადამე, საქონელი, სანამ ერთი ქალაქიდან მეორეში მიიტანდოდა, თითქმის თავის ფასს ბაჟათ იხდიდა.

ეს გარემოება საშინლათ აიწროებდა როგორც ვაჭრობას, ეგრეთვე საქონლის გამკეთებლებს და მყიდველებს, ესე იგი მთელ ხალხს. პრუსსიის მმართებლობამ მოიგონა იმნაირი საშუალება, რომ ვაჭრობის და ხელოსნობის მდგომარეობაც გაუმჯობესებულიყო, და თვითონ მთავრებსაც შემოსავალი არ მოკლებოდათ. აი რაში მდგომარეობდა ეს საშუალება.

პრუსსიის მმართებლობის აზრით, სრულიად უნდა მოსპობილიყო გერმანიაში ყოველნაირი დამოჟნა, ასე რომ ერთი სამთავროდან მეორეში საქონელს თავისუფლათ შესძლებოდა შესვლა და გამოსვლა. მაგიერათ — მთელ გერმანიას უნდა შემორტყმოდა ერთი დამოჟნა იმგვარივე, როგორიც ყველა სხვა სახელმწიფოებს აქესთ, და ამ დამოჟნის შემოსავალი უნდა გაყოფილიყო ყველა სამთავროებს შუა, მათი მცხოვრებლების რიცხვისამებრ. — ამ პროექტს დაარქვეს სახელათ „დამოჟნის-ერთობა“ (Zollverein).

ყველა მიხვდა, რომ ეს აზრი მეტის მეტათ სასარგებლო და გამოსადეგი იყო, როგორც მთელ გერმანიისთვის, ეგრეთვე მთავრების და ცალკე პირებისთვის; და რადგანც ეს პროექტი არავის ჯიბისთვის სავნებელი არ იყო, მისი ასრულებაში მოყვანა ძლიერ ადვილათ მოხდა: პრუსსიას ჯერ ორიოდე მეზობელი მთავრები შეუერთდენ და შინჯეს „დამოჟნის ერთობის“ სარგებლობა. როცა აღმოჩნდა, რომ „დამოჟნის ერთობა“ უწინდელ დამოჟნებზე უფრო სასარგებლოა, დანარჩენი მთავრებიც „დამოჟნის-ერთობას“ მიუდგნენ, ასე რომ ცოტახნის განმავლობაში „ერთობას“ გერმანიის უმეტესი ნაწილი შეადგენდა.

„დამოჟნის ერთობას“ ძლიერ დიდი გავლენა ჰქონდა მთელ გერმანიაში, განსაკუთრებით მისთ, რომ აშკარათ დაანახა ცხადათ, თუ რამოდენა სარგებლობის მოტანა შეუძლია ერთობას, და რამდენი უსარგებლო, სავნებელი და უხეირო წესი მოსდევს დაცალცალკავებას. გერმანიაში მისვლა — მოსვლა, ალებმიცემა და ვაჭრობა ერთი ათასად გაადვილდა; მასთანვე გაიაფდა საქონელი, და მაშასადამე გადიდდა მისი მყიდველების და საქონლის კეთების რიცხვი. და რაკი ეს სიკეთე მთელმა ხალხმა თავისი საკუთარი თვალით დაინახა, ყველასთვის გასაგები და ადვილათ დასაჯერი გახდა პატრიოტების სიტყვები: „თუ კი მარტო „დამოჟნის ერთობას ამოდენა სიკეთე და კეთილ დღეობა მოსდევს, უეჭველია რომ პოლიტიკურ, სრულ ერთობას ჩვენი ბედნიერება შეუძლება!“

„დამოჟნის ერთობას“ სარგებლობამ მალე დააარსა გერმანიაში მეორე ნაირი „ერთობა“, „ფოჩტის ერთობა“ (Postverein), რომელმაც სწორეთ იმგვარივე სიკეთე უყო გერმანიას და გერმანიის ერთობას, როგორც „დამოჟნის-ერთობამ.“ ორივე ეს საქმე პრუსსიის მმართებლობამ დაიწყო და ასრულებაში მოიყვანა. მაგიერათ, ეს ორი საქმე კარგა სახეიროთ გამოადგა თვითონ მმართებლობასაც, ამიტომ რომ მათი საშუალებით მთელ გერმანიაში ის აზრი ვრცელდებოდა, რომ გერმანიის ერთობის დაარსება იმ სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს, რომელმაც „დამოჟნის“ და „ფოჩტის ერთობა“ შეადგინაო.

### XVI

ამ გვარათ, გერმანიის „ერთობის“ აზრი ნელ-ნელა ვრცელდებოდა და მკვიდრდებოდა გერმანიელების აზრში, როცა, 1848-ის თებერვლის თვეში პარიჟს ხალხმა არეულობა მოახდინა, საფრანგეთის მეფე ტახტიდან გადმოიყვანდი და რესპუბლიკა დააარსა. —

ამ შემთხვევას იმ გვარივე გავლენა ჰქონდა გერმანიაში, როგორიც თოფის წამალზე ნაპერწკალსა აქვს: თითქმის მთელმა გერმანიამ გაიღვიძა, და ერთ დღეს ვენაში, მეორეს — ბერლინში, მესამეს — მიუნხენში, კარლსრუეში და სხვ. და სხვ. მმართებლობას წინაალ-

მდგომობა უყო...მმართებლობას, თავისი მხრით ყოველგან ხალხის სურვილს დაჰყვა...

ხალხის სურვილი მაშინ იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანიას, პოლიტიკური თავისუფლება და ერთობა მინიჭებოდა, ესე იგი მისცემოდა ნაფიცების სამართალი, სტამბის თავისუფლება, სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ზედამხედველობა დეპუტატებით, და სხვ. ყველა გერმანიის სამთავროების მმართებლობამ იმისთანა კანონები გამოსცა, რომელნიც ამ სურვილს ცოტათი მაინც აკმაყოფილებდნენ...

იმ დროს მთელი გერმანიიდგან დეპუტატები შეიკრიბენ წმ. პავლეს ეკკლესიაში, ფრანკფურტს (მაინზე). ამ კრებას მიზნათ გერმანიის ერთობის და თავისუფლების დაარსება ჰქონდა, და მისი წევრების უმეტესი ნაწილი პრუსსიას და მის ხელმწიფეს გერმანიის შემაერთებლათ თვლიდენ. ბევრი ლაპარაკის, შფოთის და სჯის შემდგომ, კრებამ გადაწყვიტა პრუსსიის ხელმწიფის ამორჩევა გერმანიის იმპერატორათ, და ეს ამორჩევა ცალკე დეპუტატების პირით შეატყობინა. მაგრამ, პრუსსიის ხელმწიფე არ დათანხმდა ამ ამორჩევაზე—იმას ეუცხოვა უჯაროთ და უომრათ გვირგვინის შოვნა. და ამ დანიშნულების მიღების მაგიერათ, იმან იკისრა სხვა, უმცირესი დანიშნულება. მისი ჯარი—როგორც უმჯობესი მთელ გერმანიაში,—ავსტრიის გარდა—დანიშნულ იქნა ხალხის დასამშვიდებლათ და არეულობის მოსასპობელათ დასავლეთის გერმანიაში, სადაც იმ დროს მოძრაობა იყო გერმანიაში რესპუბლიკის დასაარსებლათ.

ამ ჯარს უფროსათ ჰყავდა პრუსსიის ტახტის მემკვიდრე. ამ პრინცმა თავისი ჯარი ბადენის სამთავროში შეიყვანა, და დაამარცხა თუ არა აღელვებული ხალხი, მაშინვე სხვების შეშინებას მიჰყო ხელი. ამ მიზნით, იმან ასობით დაახვრეტინა არეულობის თავი-კაცები—დეპუტატები, რომელნიც გერმანიის ერთობას ქადაგებდენ, და მის დასაარსებლათ სცხოვრებდნენ... დანარჩენი პირებიც სასტიკათ დაისაჯნენ: ზოგი სატუსაღოთი, ზოგი მამულიდან გადენით.— ერთი სიტყვით, არეულობის დამშვიდება ისეთი სიფიცხით და დაუზოგველობით მოხდა, რომ მაგნაირი მაგალითი—ავსტრიის გარდა, კაცს არსად ენახა და გაეგონა.

XVII

ამ შემთხვევას ის გავლენა ჰქონდა, რომ გერმანიაში პრუსსიას თავისი უწინდელი ალაგი და გავლენა დაეკარგა. უწინ გერმანიელები პრუსსიას კეთილი თვალით უცქეროდნენ—ესაა ჩვენი უფროსი მამა და გამათავისუფლებელიო. მერმე კი მისი იმედი თითქმის ყველამ დაკარგა; მაგიერათ ხალხში სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ჰპოულობდა რევოლიუციის პარტია, რომელიც გერმანიის ერთობის დაარსებას უპრუსსიოთ და მმართებლობის დაუხმარებლათ, მმართებლობის წინაალმდეგათ აპირებდა. ამ პარტიის აზრით, აუცილებლათ საჭირო იყო, რომ გერმანიის „ერთობა“ თავისთავათ დაარსებულიყო, ისე რომ მასთანავე ხალხის თავისუფლებაც დაბადებულიყო,—და არა ოცი წვრილი ბატონის მაგიერათ, ერთი მსხვილი და მდიდარი დამდგარიყო. ამ პარტიას მხოლოდ ხალხზე და მის მოძრაობაზე და ძალაზე ჰქონდა იმედი; ის ხალხს აღვიძებდა, საომრათ ამზადებდა, მამულის სიყვარულს აწავლიდა, და მთელ გერმანიას იმ აზრს აჩვევდა, რომ ერთობა მისთვის აუცილებლათ საჭიროა, და მაშასადამე თვითონ გერმანიის ხალხმა თავისი საკუთარი შრომით უნდა დააფუძნოს ეს ერთობა და მასთან თავისუფლებაც.

ამ პარტიას გარდა, გერმანიაში 1848-ს შემდგომ გავრცელდა მეორე პარტიაც—ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი. ამ პარტიას ის აზრი ჰქონდა, რომ ხალხის გაღვიძების მაგიერათ, სჯობს, რომ ერთობა პრუსსიამ ან რომელიმე სხვა სახელმწიფომ დააარსოსო. რომელიც კი იკისრებს ამ საქმეს, ჩვენ მისაკენ ვიქნებით, და ამას დავეხმარებით; ჩვენთვის ერთია პრუსსია იქნება ეს, ბავარია, თუ ავსტრია, ოღონდ ვინმე კი იყოს. ეს უფრო ადვილი საქმეა, ვინემ ხალხის აღძრვა და ყველა სახელმწიფოების წინააღმდეგობა...

ამ ორ პარტიას გაყოფილი ჰქონდათ გერმანიის აზრი,—და რადგანაც კაცს საზოგადოთ ყოველთვის სხვისგან მიღება ურჩევნია მინემ თავის ხელით შოვნა, მეორე პარტიას უფრო მეტი მომხრე ყავდა, მინემ პირველს.

XVIII

ამ ორ პარტიას გარდა, გერმანიაში გვარიანი გავლენა და ძალა მესამესაც ჰქონდა, რომელსაც განსაკუთრებით პრუსსიაში ედგა ფეხი. ამ პარტიის აზრით, გერმანია პრუსსიის ხელმწიფეს, თავისი საკუთარი ჯარით უნდა „გაეთავისუფლებინა“ წვრილმანი მთავრებიდან, და შეეერთებინა თავის სკიპტრისქვეშ, ან უფრო კარგათ ვთქვათ, პრუსსიას თავისთან უნდა შეეერთებია მთელი გერმანია, და გერმანიას, თავისი მხრით პრუსსიის წესი და მთავრობა უნდა მიეღო. აქედან ცხადათ სჩანს, რომ ამ პარტიას გერმანიის გათავისუფლება მხოლოდ მისთვის სურდა, რომ ამ საშუალებით ძლიერდებოდა პრუსსია და პრუსსიის სამეფო სახლი. მაშასადამე, ამ პარტიის პირველი და უმთავრესი მიზანი გერმანია და მისი შეერთება კი არა, პრუსსიის ტახტის გამშვენიერება და გაძლიერება იყო...

ამ პარტიას ეკუთვნოდა ამ საუკუნის დასაწყისში—ბ ა რ დ ე ნ ბ ე რ გ ი, რომელიც შტეინის მაგიერობას შვრებოდა; ჩვენ დროში ამავე პარტიას ეკუთვნის, და ამ პარტიის დახმარებით მოქმედებს ეხლანდელი პრუსსიის მინისტრი ბ ი ს მ ა რ კ ი.

როგორც მისი პარტია,—რომელსაც პრუსსიაში და გერმანიაში ხუმრობით „იუნკერტუმს“ ეძახიან—როგორც მისი წინამძღოლები, ბისმარკი წვრილმანი დიპლომატიური ოსტატობით და მოხერხებით აპირებს გერმანიის შეერთებას პრუსსიასთან. მისი აზრით, ეს საქმე პრუსსიის მმართებლობამ უნდა მოახდინოს როგორც მოხერხდება და მოუხდება,—სხვა ქვეყნების მმართებლობის ერთმანერთთან წაქეზებით, ზოგის გაჩუმებით,—ერთი სიტყვით, ჩუმი, ნელი და მმართებლობითი გზით. ხალხს ამ საქმეში ხმა როდი უნდა ამოეღებოდეს, თუ, ვინიცობაა, ნამეტნათ მძიმეთ არ გაჭირდა მმართებლობის მდგომარეობა, და იმას ხალხის დახმარება არ მოუნდა....

ამ ნაირი მიმართულების იყვნენ 1866-ის წინ უმთავრესი პოლიტიკური პარტიები გერმანიაში. ეხლა ვნახოთ, თუ რა ნაირ მდგომარეობაში იყვნენ უმთავრესი სამთავროების მმართებლობაები.

XIX

აგერ ერთი საუკუნეზე მეტი იქნება, რაც გერმანიაში შესანიშნავი დავა ატყდა ავსტრიას და პრუსსიას შუა იმ საგანზე, თუ რომელს უნდა ეჭიროს პირველი ადგილი, და რომლის ხელში იქნება გერმანიის ბედი.

ავსტრია, რასაკვირველია, ყოველსავე საშუალებას ხმარობდა, ოღონდ კი თვითონ დაერჩინა ხელში თავისი წინანდელი უპირატესობა და უწინდელივით ხელქვევით ჰყოლოდა გერმანიის წვრილმანი მთავრები. პრუსსია, თავის მხრით, უარესს შვრებოდა, ოღონდ კი ავსტრიის ხელიდგან გერმანიის უფროსობა გამოეგლიჯა და ავსტრიის უწინდელი ძლიერება და გავლენა შეეძინა. . . . წვრილმანი მთავრები კი, ზოგი პრუსსიის მხარეზე იდგა, ზოგი ავსტრიისაზე, უმეტესი რიცხვი კი ორივესაზე, ან უფრო სწორეთ ვთქვათ არცერთისაზე; ეს უკანასკნელები ხან ერთ მხარეს უდგებოდენ, ხან მეორეს, ვინც უფრო მეტს მისცემდა ან დაპირდებოდა.

გერმანიის პარლამენტმა 1848 წ. აშკარათ დაანახა ავსტრიას და პრუსსიას, თუ რა საჭირო იქნებოდა გერმანიის სამთავროების შეერთება; მისაქეთ ორივე სახელმწიფოები უწინდელზე უფრო გულმოდგინეთ სცდილობდენ თავის ხელში ჩაეგდოთ შეერთებული გერმანია და მისს მმართვაში პირველი ალაგი დაეკავათ. ამასთანავე უწინდელზე უფრო მეტათ გაძლიერდა ამ ორი სახელმწიფოების ერთმანერთშუა ბრძოლა გერმანიაში უპირატესობის საშოვნელათ. როცა ერთი სახელმწიფო ერთობაზე რამე პროექტს შეადგენდა, მეორე სახელმწიფო მაშინვე იმის ცდას მისდგებოდა, თუ რა ნაირათ და რითი დაერღვია თავისი მოწინააღმდეგეს პროექტი, და არაფერ ნაირ საშუალებას არ ზოგავდა, ოღონდ კი ამ მიზნამდი მიეწია.

ამ გვარი პროექტები ერთჯერ და ორჯერ კი არ შეუტანიათ ავსტრიას და პრუსსიას, მაგრამ რადგანაც შემტანს მეორე მხარე აშკარათ და საიდუმლოთ ეწინააღმდეგებოდა, პროექტი პროექტათ რჩებოდა, და ხალხის სურვილი, გერმენია შეერთებულიყოს, უწინდელივით აუსრულებელი რჩებოდა.

ასე მიდიოდა საქმე 1866 წლამდი, როცა ბისმარკმა ნაპოლეონს დაინახა, რომ პრუსსიის გაძლიერება საფრანგეთისთვისაც სასარგებლო იქნებაო, ამიტომ რომ გაძლიერების შემდგომ პრუსსიას საფრანგეთისთვის რეინის მარცხენა ნაპირის მიცემა შეეძლებაო. რადგანაც საფრანგეთს ეს ნაპირი განსაკუთრებით სჭირია, ნაპოლეონმაც თავისი მხრით ბისმარკს დაპირდა, რომ საფრანგეთი ავსტრიის დამარცხებას და გერმანიაში გაძლიერებას არ დაუშლის პრუსსიასაო.

მაშინ პრუსსია, რომელსაც აქამომდე მარტო საფრანგეთის შიში აკავებდა, გამწყრებულათ შეეტაკა ავსტრიას, და რამდენიმე კვირის შემდგომ მათი ბრძოლა პრუსსიის გამარჯვებით გათავდა. ამ ბრძოლას მოსდევდა ავსტრიის გამორიცხვა გერმანიიდგან და ჩდილოეთი გერმანიის შეერთება პრუსსიის უფროსობის ქვეშ.

XX

სადოვას ბრძოლის შემდგომ, 1866 ში, მთელ გერმანიას ხაზათ მაინის მდინარე გააყოლეს, და რაც ჩდილოეთისკენ ადგილები დარჩა, იმ ადგილებიდგან პრუსსიამ თავისთვის „ჩდილეთი გერმანიის კავშირი“ (Norddeutsche Bund) შეადგინა. რაც სამხრეთისკენ სამთავროები დარჩა, ისინი პრუსსიას როდი უნდა შეერთებოდნენ,—იმათ, თუ ისურვებდენ, ც ა ლ კ ე კ ა ვ შ ი რ ი ს შედგენა შეეძლოთ, „სამხრეთელი გერმანიის კავშირის. ასე ბრძანებდა პრაგის ტრაქტატი, რომელმანც სამოცდაექვსის ომს ბოლო მოუღო.

მაგრამ, ჯერ პრაგის ტრაქტატი ხელმოწერილი არ იყო, როცა ბისმარკმა სამხრეთი გერმანიის სახელმწიფოებთან (ბავარიასთან, ვირტემბერგთან და ბადენთან) პირობა შეჰკრა, რომ, თუ, ვინიცობაა, პრუსსია რომელსამე სხვა ქვეყნის სახელმწიფოს ეომებოდეს, სამხრეთი გერმანიის ჯარი პრუსსიის ხელმწიფის ხელში უნდა გარდაიცეს და მთელი სამხრეთი ჩდილოეთი გერმანიის დამხმარი უნდა იყოსო. ამ პირობამ შეაერთა მთელი გერმანია სამხედრო საქმეებში.

შემდგომ, რადგანაც დამოჟნის ერთობა სადოვის ბრძოლაზე წინეთაც იყო შემდგარი, პრუსსიას მშვენიერი აზრი მოუვიდა: „დამოჟნის ერთობას“ რაც საქმეები ჰქონდა ან ექნებოდა, გაეხილვინებია მთელი გერმანიიდან შეკრებილ პარლამენტისთვის, რომელსაც დაარქვეს სახელათ „დამოჟნის-პარლამენტი“ Zollparlement). რასაკვირველია, რომ ეს პარლამენტი მხოლოდ იმისთვის იყო მოგონებული, რომ პრუსსიას სამხრეთი გერმანიის მიზიდვა უნდოდა [illegible], პარლამენტის დეპუტატები [illegible] უფრო ადვილათ მიაღწევინებდა პრუსსიას მიზანს. ამ პარლამენტმა შეაერთა მთელი გერმანია ვაჭრული, „საქმიური“ მხრით.

დარჩა მხოლოდღა ნამდვილი პოლიტიკური შეერთება. ამ საგანზე კი სამხრეთი გერმანია სრულიადაც არ ეთანხმებოდა პრუსსიას.

XXI

თვითონ ჩრდილოეთ გერმანიაში უწინდელი პარტიები სადოვის ბრძოლის შემდეგ გვარიანათ შეიცვალენ: „ნაციონალური“ პარტია „იუნკრების“ პარტიას შეუერთდა, პრუსსიისა და ბისმარკის მომხრეთ გახდა. რევოლიუციური პარტიიდგან ზოგი ამ ნაციონალურ პარტიისკენ გადავიდა, ზოგი ჩაჩუმდა, ზოგს მეგობრები და მომხრეები შემოაკლდა, ასე რომ ბისმარკის პარტიის გარდა, დანარჩენი პოლიტიკური პარტიები ან ძლიერ შემცირდენ, ანა და სრულიადაც მოისპნენ..

მაგიერათ, სამხრეთის გერმანიაში ხელახლავ გაძლიერდა ის პარტია, რომელიც ამბობდა, რომ გერმანიის ერთობა თვითონ გერმანიამ, თავისი საკუთარი ძალით, და [illegible] პრუსსიის დახმარებით, უნდა მოახდინოს; გერმანია კი არ უნდა შეუერთდეს პრუსსიას, თვითონ პრუსსია უნდა ჩაერთოს გერმანიაშიო. ამ პარტიას, უკანასკნელ დროში, დიდი გავლენა ჰქონდა სამხრეთის გერმანიაზე.

XXII

მაგრამ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანიაში პრუსსიას და „სამხედრო განწყობილებას“ ორმოცდა ათის შემდგომ იმიტომ მიეცა პირველი ადგილი, რომ საფრანგეთის ტახტზე ნაპოლეონი იჯდა. რაკი გერმანიას მეზობლათ საომრათ გაწყობილი სახელმწიფო ყავდა, ის თვითონაც საომრათ უნდა გაწყობილიყო, და გასაკვირველი როდი უნდა იყოს, რომ გერმანიაში, ამ მიზეზით ყველა თვალები პრუსსიისკენ მიუბრუნდა, რადგანაც ამ სახელმწიფოს კარგი ჯარი და სამხედრო წესი ჰქონდა. რაკი გერმანიას გარშემო კაზარმები ევლო, იმას შიგნითაც კაზარმა უნდა გაეწყო, რომ კაზარმით კაზარმა დაეთურგნა. ესაა გერმანიაში პრუსსიის გაძლიერების უმთავრესი მიზეზი.

მაგრამ საფრანგეთი, სადოვის ბრძოლის შემდგომ, ცუდი თვალით უცქერის პრუსსიას. ბისმარკმა თავისი დაპირება ვერ აასრულა, ნაპოლეონს რეინის მარცხენა ნაპირი [illegible] მისცა.—ამ საგანზე საფრანგეთი ძლიერ გულნაკლული დარჩა, და წლევანდელ ომს მეტი საფუძველი არა აქვსრა...

ეს ომი ხანგრძლივი, მძიმე და საშინელი უნდა იყოს, როგორც თვითონ მმართებლობაები აცხადებენ და, ვინ იცის, რითი როგორ გათავდება. მაგრამ წარსული ისტორიიდან კი შეგვიძლია გამოვიყვანოთ ზოგი ერთი აზრები:

გერმანიის ხალხს სასტიკი სურვილი აქვს თავისი ერთობა დააარსოს, და თავისი თავი სხვა ქვეყნის ხალხს არ ჩაუგდოს ხელში. [illegible] გრძნობა მეტის მეტათ აძლიერებს იმ ხალხს, რომელსაც ის გულში უდგია.

საფრანგეთს კი, 1848 წლის შემდგომ, [illegible]ლიან ცუდი სურვილი და გრძნობა აღელვებს, იმას სხვისი გაძლიერება ეხარბება და სურს თვითონაც რამე შეიძინოს, რომ მასზე ძლიერი მაინც არავინ დარჩეს. ამ გვარი გრძნობა ძალიან აუძლურებს კაცს, ამიტომ რომ კლავს მასში ალტაცებას და თავის გაწირვას, რომელიც აუცილებლათ საჭიროა ომის ბრძოლის დროს...

თვითონ სამხედრო და სამმართველო წილში, საფრანგეთს ორმოცდა რვიდგან, როგორც ამბობენ, ნიჭისთვის და ღირსებისთვის კი არ გაუხსნია გზა: ნაპოლეონი მხოლოთ იმისთანა პირებს აძლევდა ადგილს და ღირსებას, ვინც მისი მომხრე და რესპუბლიკის მტერი ან ორგული იყო. ამისგამო მის ჯარში ეხლა ძლიერ ძვირათ იპოვნება ნიჭიერი უფროსები.

გერმანიაში კი უფროსობა მეტის მეტათ ნიჭიერ და გამოცდილ კაცებს ეკუთვნის; პირებს რესპუბლიკის ორგულობით და [illegible]ცემით კი არ უშოვნიათ ადგილი და შეძლება და ამისგამო იმათ ხალხზე უფრო მეტი გავლენა აქვსთ......

გ. ჯიოვანი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Августа, 1870 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.